# სად დავასაქმოთ 100 ათასი ადამიანი?

**ჯობა ბიწაძე,**
ეკონომიკის ექსპერტი

*საქართველოს ეკონომიკის ოფიციალური* ***„გაორმაგების“*** *მიუხედავად, უმუშევრობა ისევ მწვავე პრობლემად რჩება.*

*ამ პრობლემის გადაჭრის ბევრი გზა დაისახა — ტურიზმი, მცირე ბიზნესი, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ისეთი* ***„საბჭოთა გიგანტების“*** *აღორძინება, როგორებიცაა:* ***„აზოტი“, ზესტაფონის „ფერო“, „რუსთავცემენტი“, „ჭიათურმანგანუმი“, ტყიბულის ნახშირის საბადოები*** *და ა.შ.*

ამას დაემატა დასაქმების პროგრამებიც, რომლებიც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს — თითქოსდა 100 ათასი ადამიანისთვის ყოველთვიურად 200 ლარის დარიგება ჰიპერინფლაციას გამოიწვევდა. მაგრამ პირიქით კი მოხდა — **იანვრის თვეში სამომხმარებლო ფასების ინდექსი 0,48% - ით შემცირდა**. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა კეინსის თეორიის ერთი ელემენტარული კანონი, რომლის მიხედვითაც, **ინფლაცია იწყება მაშინ, როდესაც სრული დასაქმების პირობებში მოსახლეობის საარსებო მინიმუმია დაკმაყოფილებული**. ასე რომ, დასაქმების პროგრამების გარეშედაც ყოველ ქართველ უმუშევარს უნდა ჰქონდეს ყოველთვიური შემწეობა 200 ლარის ოდენობით, მაგრამ ასეთი შემწეობა რომ დაკანონდეს, მას ალბათ, პირველ რიგში, ის ადამიანები დაინიშნავენ, ვინც უკვე მუშაობს არალეგალურად....

დასაქმების პროგრამების მესვეურები ამტკიცებენ, რომ გასულ წელს ამ პროგრამაში მონაწილეთა 30%-ი ნამდვილად მიიღეს სტაბილურ სამუშაო ადგილზე. მაგრამ მიუხედავად ამისა, უმუშევართა რაოდენობა არა და არ კლებულობს.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ 50-იან წლებში საქართველოს ინდუსტრიალიზაციის დაწყებამდე ქვეყნის ტერიტორიაზე დაახლოებით იმდენი ადამიანი ცხოვრობდა, რამდენიც დღეს, მაგრამ უმუშევრობას არავინ უჩიოდა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არ იყვნენ აშენებულნი ზემოთაღნიშნული „გიგანტები“.

დღეისათვის, 70-იან წლებში გაჩენილი **„ზედმეტი“** მოსახლეობა — 1 მილიონი ქართველი- უკვე გასულია საზღვარგარეთ. შესაბამისად, საქართველოში დარჩენილ 3,5 მილიონ ადამიანს უმუშევრობის პრობლემა არ უნდა აწუხებდეს.

მაგრამ ეს პრობლემა მაინც არის. პირველ რიგში, ალბათ იმიტომ, რომ **„გაქალაქებულმა“** ქართველებმა დაკარგეს სოფლის მეურნეობის გაძღოლის კულტურა და უნარი, რის შედეგადაც სოფლებში მიწების ნახევარზე მეტი მიტოვებულია. საქართველოში მოხმარებული აგრარული პროდუქციის 40%-ზე მეტი კი იმპორტირებულია. საქართველოში მეზობელი ქვეყნებიდან და თქვენ წარმოიდგინეთ, შორეული ჩინეთიდანაც კი შემოდის ისეთი ტრადიციული **„ქართული“** პროდუქცია, როგორებიცაა: **ნიორი, ხახვი, ბადრიჯანი, კიტრი, პომიდორი, კარტოფილი** და ა.შ.

მეცნიერთა ერთი ნაწილი თავგამოდებით ამტკიცებს — **რა დროს სოფლის მეურნეობაა?** – საქართველოში შეიქმნა 4 თუ 5 ტიპის **„პერპეტუუმ მობილე“**, ათეულობით ზემაღალი ტექნოლოგია, რომლებსაც მილიონობით ადამიანის დასაქმება შეუძლიაო. ელემენტარული საბაზრო ლოგიკით, დღეს საქართველოში უნდა არსებობდეს მინიმუმ 4 ავტოქარხანა, რომლებიც ელექტრომობილებს უნდა აწარმოებდნენ. სულ ამაოდ იმუქრებიან ზოგიერთები, აქაოდა მენავთობეები **„აგვაფეთქებენო“**. სინამდვილეში თვითონ ეს ნავთობკორპორაციები

ხედავენ ალტერნატიული ენერგეტიკის აუცილებლობას და ნელი ტემპებით ამ მიმართულებითაც ვითარდებიან. მხოლოდ **„შევრონი“** 2008 წელს აპირებს, რომ ალტერნატიული ენერგეტიკის განვითარებაზე 6 მილიარდი დოლარი დახარჯოს.

**„შევრონისთვის“** საქართველოს ბაზარი იმდენად მცირეა, რომ ჩვენს ქვეყანაში ამ მიმართულებით საქმის დაწყება მას არ უღირს.

ამიტომ, ამ სფეროს ისევ თვითონ ქართველებმა უნდა მიხედონ. მით უმეტეს, რომ აშშ-ში არსებობს კანონი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ავტოპარკის 3% ალტერნატიულ ენერგიაზე მომუშავე ავტომობილებისგან უნდა შედგებოდეს.

ჩიკაგოს პოლიციამ უკვე შეისყიდა იაპონური კომპანიებისგან ისეთი ელექტრომობილები, რომლებიც წყალბადის ელექტრობატარეებზე მუშაობენ და რატომ დაიწუნებენ ჩვენი ამერიკელი მეგობრები ქართულ ელექტრომობილებს?

საქართველოს ინდუსტრიის განვითარებას თვითონ **„ტრადიციონალისტი“** ქართველები აფერხებენ, არგუმენტით: **„ჩვენ – ქართველები მიწის მუშა ხალხი ვართ. ამიტომაც შეგვარქვეს ძველმა ბერძნებმა „გეორგოსები“. ქართული ხასიათი ვერ იტანს ინდუსტრიასო“.**

ჯერ ერთი, ძველი ქართველები ცნობილნი იყვნენ არა იმდენად მიწაზე მუშაობით, რამდენადაც მეტალურგიით — ძველ დროში რკინას და სპილენძს ქართული გვარ-ტომების სახელები ეწოდებოდათ — **ხალიბი** და **მესინგ**. ოქროს მოპოვების კოლხური ტექნოლოგიის მითვისების მიზნით ჩამოვიდა იასონი თავის არგონავტებიანად. ასე რომ, უფრო სწორი იქნებოდა, თუ ძველი ბერძნები **„მეტალურგოსებს“** დაგვარქმევდნენ.

**მაგრამ, რატომ უნდა ავყვეთ სხვის შერქმეულ სახელებს? — ძველ ბერძნებს რომ ჩვენი წინაპრებისათვის „ჰიპოპოტამოსები“ შეერქმიათ, ჩვენ რა, ბეჰემოტებივით უნდა გვეცხოვრა საქართველოს დიდ მდინარეებში?**

გარდა ამისა, ქართული ხასიათი იტანდა არაბების, მონღოლების, თურქ- სელჯუკების, სპარსების, ოსმალების, ლეკების და ათასი სხვა რჯულის დამპყრობლების **ხმლების ტრიალს** და ახლა ავტოქარხანაში **„ბოლტ-გაიკის“** და **„შურუფების“** ტრიალი ვერ უნდა აიტანოს?

ასე რომ, მათ, ვინც თანამედროვე საქართველოში მძიმე მრეწველობის განვითარებას აფერხებს, ძველი ბერძნები ალბათ **„იდიოტუსებს“** შეარქმევდნენ...

**მით უმეტეს, რომ მრეწველობის განვითარებას არ ეწინააღმდეგება ყველაზე ორთოდოქსული და მართლაც რომ ტრადიციული მართლმადიდებლური ეკლესია.**

საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას არაერთხელ განუცხადებია, რომ საქართველო არ უნდა ჩამორჩეს მსოფლიოს განვითარების დონეს იმისათვის, რომ გლობალიზაციის პროცესმა სუსტი ქვეყანა არ დაჩაგროს. მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს სულიერების ხარჯზეო.

**ინდუსტრია არ მოითხოვს სულიერ მსხვერპლს, რადგან ტექნიკის გავლენა ადამიანზე დამოკიდებულია თვით ადამიანზე და არა ტექნიკაზე**. ამის მაგალითია აბსოლუტურად ინდუსტრიული იაპონია. ამ ქვეყანაში მრეწველობა უმაღლეს დონეზეა განვითარებული, მაგრამ იაპონელებს არც ერთი ტრადიცია არ დაუკარგავთ. ზოგიერთმა იაპონურმა ტრადიციამ დაჰკარგა იურიდიული ძალა, დე ფაქტო კი ძალაში დარჩა — მათ შორის ისეთებიც, რომლებიც 21-ე საუკუნეში **ანტიჰუმანურად და ველურად** გამოიყურება.

თუ როგორ მოქმედებს ქართულ სულიერებაზე ტექნოლოგიები, ამის მაგალითად ერთი კურიოზული ფაქტის გახსენება შეიძლება. ერთმა ღრმადმორწმუნე ქართველმა მენეჯერმა ე.წ. **„ნოუტ-ბუკი“** იყიდა და თავის მოძღვარს აკურთხებინა. ნაკურთხმა წყალმა კლავიატურაში შეაღწია, მოკლე ჩართვა მოახდინა და დაწვა. მენეჯერმა მაშინვე დაასკვნა: **„აი ხომ ხედავთ, კომპიუტერი ეშმაკის**



**მოგონილია – ნაკურთხმა წყალმა დაწვაო“.** მაგრამ მისდა გასაოცრად მონიტორი მთელი აღმოჩნდა, რადგან იგი ჰერმეტულია და მასში წყალს არ შეუღწევია. მორწმუნე მენეჯერს „ათეისტმა“ მეგობრებმა დაუწყეს დარწმუნება: **„ხომ ხედავ, მონიტორი ღმერთის მიერ არის შექმნილი, რადგან ნაკურთხი წყლისაგან არ იწვისო“.**

**მაგრამ, თუ ტექნიკა „ეშმაკისეულია“ და ქართველთა საქმე მიწათმოქმედებაა, მაშინ თავისი სამყოფი ნიორის და ხახვის მოყვანა მაინც უნდა შეგვეძლოს „გეორგოსებს“.**

საქართველოს სოფლის მეურნეობის გაჩანაგებას ვერც მაღალ გადასახადებს დააბრალებ და ვერც საწვავის სიძვირეს, რადგან მეზობელ თურქეთში ერთი ლიტრი ბენზინი საშუალოდ 188 ცენტი ღირს, საქართველოში კი 86 ცენტი.

საქართველოში 5 ჰექტრამდე მიწის მფლობელი, ასევე გადაუმუშავებელი ხილ-ბოსტნეულის გამყიდველი ფერმერი განთავისუფლებულია ყველა გადასახადისგან. თურქეთში კი შეღავათების სისტემა შედარებით უფრო სუსტია, ვიდრე საქართველოში.

**მაშინ, რით გვჯობიან ჩვენი მეზობლები**?

უპირველეს ყოვლისა, საქმის ორგანიზაციით. სანამ საქართველოს ეკონომიკა „გაორმაგდებოდა“, აგრარულ ბაზრებზე ქართული პროდუქცია დომინირებდა. იმპორტის წილი 20% -ს თუ აღწევდა და ისიც ძირითადად ხორბლის და ისეთი პროდუქციის ხარჯზე, რომლებიც საქართველოში ნაკლები რაოდენობით იწარმოება. **მაგრამ, რაც უფრო იზრდებოდა მოხმარება, მით უფრო ეცემოდა ქართული პროდუქციის წილი ბაზარზე.**

ეს გამოიწვია **„ბრბოს ეფექტმა“**, რაც დამახასიათებელი იყო ეკონომიკის ყველა სფეროსთვის – ფინანსური **„ოქროს თასებით“** დაწყებული და დუბაიში **„მოსეირნე“** ინდმოვაჭრეებით დამთავრებული.

ამ ეფექტის არსი საკმაოდ მარტივია: როდესაც ერთი ინდმოვაჭრე დუბაიდან რამე დეფიციტურ საქონელს (მაგალითად, მობილურ ტელეფონს) ჩამოიტანდა და ამით დიდ მოგებას მიიღებდა, მაშინვე ყველა დანარჩენი ინდმოვაჭრე ზუსტად რომ მობილური ტელეფონის საყიდლად მიდიოდა დუბაიში. ამდენი ახლადჩამოტანილი მობილური ტელეფონი კი საქართველოში არავის სჭირდებოდა. შედეგად ინდმოვაჭრეების 80%-ი კოტრდებოდა. ალბათ ყველას ახსოვს, თუ რა ამბები ტრიალებდა საქართველოს 90-იან წლებში ამ ინდმოვაჭრეების მიერ ვალ-

ში ჩადებული ბინების თუ პიანინოების გამო.

დაახლოებით იგივე ხდებოდა სოფლის მეურნეობაშიც. თუ ერთი გლეხი, მაგალითად, ნივრის მოყვანით დიდ მოგებას მიიღებდა, მაშინვე ყველა მისი ნაცნობ-მეზობელი ნივრის გაშენებას იწყებდა. ამდენი ნიორი კი მაშინდელ ღარიბ საქართველოში არავის სჭირდებოდა. შესაბამისად, გლეხების 90%-სთვის ნივრის მოყვანა წამგებიანი ხდებოდა. იგივე ხდებოდა სხვა კულტურების ბაზრებზეც. ამის შედეგად, ქართველ ფერმერებში დამკვიდრდა ასეთი სტერეოტიპი: **„ყველამ რომ კიტრი (პომიდორი, ხახვი, ნიორი.....) მოიყვანოს, მაშინ ხომ ფასი დაეცემა და შრომა წყალში ჩაგვეყრებაო.“**

ამ პრინციპის მიხედვით, გლეხების უმრავლესობა ნატურალურ მეურნეობას დაუბრუნდა და მხოლოდ თავის სამყოფი ხილ-ბოსტნეული მოჰყავს. საბაზრო პირობები კი მნიშვნელოვნად შეიცვალა:

90-იანი წლების შემდეგ საქართველოს მოქალაქეთა შემოსავლები თითქმის 4-ჯერ გაიზარდა, სოფლის მეურნეობის მოცულობა კი დაახლოებით 2-ჯერ. ამიტომაც გაოთხმაგებული მოთხოვნის დაკმაყოფილება ძირითადად იმპორტული ხილ-ბოსტნეულით ხდება.

**ქართული აგრარული პროდუქციის რაოდენობის გაზრდა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებითაც კი შეიძლება**. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უბრალოდ უნდა მისცეს კვოტები სასოფლო თემებს — ე.ი. ამა თუ იმ თემს მისცეს რეკომენდაცია მოიყვანოს ესა თუ ის პროდუქტი იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც მისი გაყიდვის ალბათობა დიდია.

აგრარული რეფორმის არსებული კონცეფციის მიხედვით არის გათვალისწინებული **ფერმერთა მომსახურების ცენტრების** გახსნა ყველა თემში. ეს ცენტრები მოამარაგებენ ფერმერებს შხამქიმიკატებით, ლიტერატურით ახალი აგრარული ტექნოლოგიების შესახებ და ა.შ.

**მაგრამ, ასეთი ცენტრების გახსნა მხოლოდ ერთი-ორ რაიონში თუ მოხდა პოლიტიკური პი-არის მიზნით**. ფერმერები ცდილობენ, რომ ამ ცენტრების გარეშედაც თვითონ გავიდნენ როგორმე ფონს. მაგალითად, მარნეულის რაიონში ორმა ფერმერმა თავისი ძალისხმევით გამოიყვანა ხორბლის ისეთი ჯიში, რომელიც ზუსტად შეესაბამება სამხრეთ საქართველოს ნიადაგს და ორმაგ მოსავალს იძლევა ხორბლის უმაღლეს ხარისხთან ერთად. ამ მაგალითიდან ჩანს, რომ აუცილებელია ახალი ჯიშების სელექცია, რადგან შემოტანილი

თესლი არ არის ადაპტირებული ქართულ ნიადაგთან, რის შედეგადაც იმპორტირებული კულტურები არამდგრადი არიან დაავადებების მიმართ და შესაბამისად, მოსავლიანობაც დაბალია. **სელექციის ინსტიტუტები კი საქართველოში აღარ დარჩა**. თითო-ორი ფერმერის მცდელობა ყოველთვის არ გაამართლებს და სიტუაციას რადიკალურად ვერ გამოასწორებს. ასე რომ, აღნიშნულმა ცენტრებმა ალბათ სელექციისა და გამოცდილების გაზიარების ინსტიტუტების როლიც უნდა შეასრულონ.

**მაგრამ, ყველაზე ადვილი და უფასო ეფექტის მიღება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ეს ცენტრები ზემოთაღნიშნულ კვოტებს გაანაწილებენ:** თუ ფერმერს ეცოდინება, რომ მისი პროდუქცია იმპორტს ჩაანაცვლებს, მაშინ დანაკარგების შიშის გარეშე გაზრდის ხილ-ბოსტნეულის ნარგავებს თუ ნათესებს. შედეგად ფერმერთა უმეტესობა დამატებით ფინანსურ შემოსავლებს მიიღებს და სოფელში მცხოვრებ ახალგაზრდებს ნაკლები მოტივი ექნებათ იმისათვის, რომ „ელიავას“ ბაზრობასთან „შრომის ბირჟაზე“ დადგნენ და თავი უმუშევრად გამოაცხადონ.